

აბსოლუტური და ფარდობითი სიღარიბე და ჯინის კოეფიციენტები

1. საკონტაქტო ინფორმაცია	
1.1. საკონტაქტო ორგანიზაცია	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)
1.2. საკონტაქტო ორგანიზაციის ერთეული	სოციალური სტატისტიკის დეპარტამენტი ცხოვრების დონის სტატისტიკის სამმართველო
1.3. საკონტაქტო პირი	ვასილ წაქაძე გიორგი მიქელაძე
1.4. საკონტაქტო პირის ფუნქცია	სოციალური სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსი ცხოვრების დონის სტატისტიკის სამმართველოს უფროსი
1.5. საკონტაქტო პირის საფოსტო მისამართი	ქ. თბილისი, 0180, ცოტნე დადიანის 30
1.6. საკონტაქტო პირის ელექტრონული ფოსტის მისამართი	vtsakadze@geostat.ge gmikeladze@geostat.ge
1.7. საკონტაქტო პირის ტელეფონი	+995 32 236 72 10 (600) +995 32 236 72 10 (610)
1.8. საკონტაქტო პირის ფაქსი	-

2. მეტამონაცემების განახლება	
2.1. მეტამონაცემების ბოლო სერტიფიცირება	2022 წ. 11 ნოემბერი
2.2. მეტამონაცემების ბოლო გამოქვეყნება	2022 წ. 11 ნოემბერი
2.3. მეტამონაცემების ბოლო განახლება	2022 წ. 11 ნოემბერი

3. სტატისტიკური მონაცემების წარმოდგენა	
3.1. მონაცემების აღწერა	
<p>აბსოლუტური და ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებლების და ჯინის კოეფიციენტების გამოთვლა ხორციელდება შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევიდან. აღნიშნული სტატისტიკური მაჩვენებლების წარმოების მიზანია მოსახლეობის შემოსავლების და ხარჯების კონცენტრირების ხარისხის, სიღარიბის დონის და ამ მაჩვენებლების წლიური ცვლილების შესახებ მონაცემების მიღება.</p>	
3.2. კლასიფიკაციის სისტემა	
დანაშინულების მიხედვით ინდივიდუალური მოხმარების კლასიფიკატორი (COICOP).	
3.3. სექტორის მოცვა	
მოიცავს ქვეყნის ყველა კერძო შინამეურნეობას. დაკვირვების ერთეული არის შემთხვევითად შერჩეული შინამეურნეობა, მიუხედავად შინამეურნეობაში არსებული წევრების რაოდენობისა და მათი მატერიალური მდგომარეობისა.	
3.4. სტატისტიკური ცნებები და განსაზღვრებები	
<p>შინამეურნეობა არის ადამიანთა ერთობლიობა, რომლებიც ექვემდებარებიან ერთ საცხოვრებელ ერთეულზე ერთობლივი ცხოვრების საერთო წესებს და ერთმანეთთან დაკავშირებული არიან საერთო ბიუჯეტით (ან მისი ნაწილით), ნათესაური ან/და არანათესაური ურთიერთობით (შინამეურნეობა შეიძლება შედგებოდეს ერთი ადამიანისგანაც).</p> <p>ცხოვრების დონე გულისხმობს მოსახლეობის უზრუნველყოფას მატერიალური, სულიერი, სოციალური დოვლათითა და საცხოვრებელი პირობებით, ანუ იგივეა, რაც მოხმარების მიღწეული დონე და ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხარისხი.</p> <p>შინამეურნეობების შემოსავლები მოიცავს შინამეურნეობის და მისი წევრების ყველა შემოსულობას გამოსაკვლევ პერიოდის განმავლობაში. მთლიანი შემოსავალი შედგება ფულადი და არაფულადი შემოსავლებისაგან. ფულადი შემოსავლები მოიცავს შემოსავლებს დაქირავებული შრომიდან, თვითდასაქმებიდან, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან, ქონების გაქირავებიდან, ანაზრიდან (პროცენტი), პენსიებს, სტიპენდიებს, დახმარებებს, უცხოეთიდან მიღებულ გზავნილებს და საჩუქრად მიღებულ ფულს.</p> <p>შინამეურნეობების ხარჯები მოიცავს შინამეურნეობისა და მისი წევრების ყველა დანახარჯს გამოსაკვლევ პერიოდის განმავლობაში. მთლიანი სამომხმარებლო ხარჯები შედგება სამომხმარებლო ფულადი და</p>	

<p>არაფულადი ხარჯებისაგან. მთლიანი ხარჯები მოიცავს სამომხმარებლო ფულად ხარჯებს, არასამომხმარებლო ფულად ხარჯებს და არაფულად ხარჯებს.</p> <p>სიღარიბის ფარდობითი ზღვარი განისაზღვრება ქვეყანაში მთლიანი შემოსავლის ან დანახარჯების განაწილების შეფარდებითი მაჩვენებლით. მაგალითად, ქვეყანაში მედიანური მოხმარების 40% ან 60%-ის მიმართ გაანგარიშებული სიღარიბის ზღვარი.</p> <p>მედიანური მოხმარების 60 და 40 პროცენტი სიღარიბის ფარდობითი ზღვრებია, რომლებიც მთლიანი მოხმარების (სამომხმარებლო ხარჯების) მიხედვით მოსახლეობის განაწილების მედიანიდან აითვლება.</p> <p>მედიანური მოხმარება მოხმარების მიხედვით მოსახლეობის განაწილების ისეთი სიდიდეა, რომ მოსახლეობის ნახევარი (50 პროცენტი) მასზე ნაკლებს, ხოლო მეორე ნახევარი მასზე მეტს მოიხმარს.</p> <p>სიღარიბის დონე ან, სხვაგვარად, ღარიბების რაოდენობის ინდექსი ღარიბი მოსახლეობის წილია მთელ მოსახლეობაში.</p> <p>ეკვივალენტური მოზრდილი – სხვადასხვა ადამიანს განსხვავებული მოთხოვნილება აქვს სქესისა და ასაკის მიხედვით. გამოიყენება 6 სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფი, რომელთაც აქვთ მინიჭებული განსაზღვრული კოეფიციენტები. ეკვივალენტურ მოზრდილს აქვს მინიჭებული კოეფიციენტი „1“ და სხვა წევრების კოეფიციენტები განისაზღვრება ამ მაჩვენებლის მიხედვით. ყველა კოეფიციენტის ჯამი იძლევა შინამეურნეობაში ეკვივალენტური მოზრდილების რაოდენობას.</p> <p>თანაცხოვრების ეფექტი – არსებობს გარკვეული ტიპის ხარჯები (მაგალითად, გადასახადები), რომელთა მნიშვნელობა ერთ წევრზე გაანგარიშებით შემცირდება, თუ გაიზრდება შინამეურნეობების წევრთა რაოდენობა (მაგალითად, ორი ცალ-ცალკე მცხოვრები ადამიანი ხარჯავს უფრო მეტს, ვიდრე ეს ორი ადამიანი დახარჯავდა თანაცხოვრებისას). სწორედ ამ ფაქტის გასათვალისწინებლად გამოყენებულია თანაცხოვრების ეფექტი, რომელიც განისაზღვრება შემდეგნაირად: შინამეურნეობაში ეკვივალენტური მოზრდილების რაოდენობა აყვანილი 0.8 ხარისხში (მხოლოდ ისეთი შინამეურნეობებისთვის, რომლებშიც წევრთა რიცხვი ერთზე მეტია).</p> <p>ჯინის კოეფიციენტი (შემოსავლების კონცენტრაციის მაჩვენებელი) – გვიჩვენებს შემოსავლების ფაქტობრივი განაწილების გადახრას მათი თანაბარი განაწილების ხაზიდან. თანაბარი განაწილებისას ჯინის ინდექსი ნულის ტოლია, აბსოლუტური უთანაბრობისას კი – ერთის.</p>
<p>3.5. სტატისტიკური ერთეული</p> <p>შინამეურნეობა.</p>
<p>3.6. სტატისტიკური პოპულაცია</p> <p>გენერალური ერთობლიობა, საიდანაც ხდება შერჩევა, მოიცავს ქვეყნის ყველა კერძო შინამეურნეობას.</p>
<p>3.7. საანგარიშო არეალი</p> <p>გამოკვლევა მოიცავს საქართველოს მთელ ტერიტორიას ოკუპირებული ტერიტორიების გარდა.</p>
<p>3.8. დროის მოცვა</p> <p>აბსოლუტური და ფარდობითი სიღარიბის მონაცემები ხელმისაწვდომია 2004 წლიდან, ხოლო ჯინის კოეფიციენტები – 1997 წლიდან.</p>
<p>3.9. საბაზო პერიოდი</p> <p>-</p>

4. ზომის ერთეული
პროცენტი.

5. საანგარიშო პერიოდი
წელი.

<p>6. ინსტიტუციური მანდატი</p> <p>6.1. სამართლებრივი აქტები და სხვა შეთანხმებები</p> <p>საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“; https://www.geostat.ge/media/20591/1.saqstatis_kanoni.pdf სტატისტიკურ სამუშაოთა ყოველწლიური პროგრამა; https://www.geostat.ge/ka/modules/categories/307/statistikur-samushaota-programa საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დებულება. https://www.geostat.ge/media/20600/10%2Csaqstatis-konsolidirebuli-debuleba.pdf</p> <p>6.2. მონაცემთა გაზიარება</p> <p>-</p>

7. კონფიდენციალურობა
7.1. კონფიდენციალურობა – პოლიტიკა
<p>1. საქართველოს კანონი „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“:</p> <ul style="list-style-type: none"> • კანონის მე-4 მუხლის თანახმად, ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებლის მიერ სტატისტიკური მიზნებისათვის შეგროვებული, ფიზიკური და იურიდიული პირების შესახებ მონაცემები მკაცრად კონფიდენციალურია და მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისათვის გამოიყენება. • კანონის 28-ე მუხლის (სტატისტიკურ მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვა) თანახმად, <ol style="list-style-type: none"> 1. ოფიციალური სტატისტიკის წარმოების მიზნით შეგროვებული მონაცემები კონფიდენციალურია, თუ ისინი იძლევა დაკვირვების ერთეულის იდენტიფიცირების საშუალებას ან თუ მათი მეშვეობით შესაძლებელია ამგვარი მონაცემების დადგენა. 2. დაუშვებელია კონფიდენციალური სტატისტიკური მონაცემების გაცემა და გავრცელება ან მათი არასტატისტიკური მიზნით გამოყენება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გამონაკლისებისა. 3. ოფიციალური სტატისტიკის წარმოებისას სავალდებულოა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესებით საიდენტიფიკაციო მონაცემების, მათ შორის, ასეთი მონაცემების შემცველი სტატისტიკური კვლევის ამსახველი კითხვარების განადგურება ან განცალკევებით შენახვა. • კანონის 29-ე მუხლის თანახმად, საქსტატის ორგანოებში დასაქმებულებს ეკრძალებათ სტატისტიკური კვლევის მიზნით შეგროვებული და დამუშავებული კონფიდენციალური სტატისტიკური მონაცემების გამოყენება და გავრცელება. https://www.geostat.ge/media/20591/1.saqstatis_kanoni.pdf <p>2. „მონაცემების კონფიდენციალურობის პოლიტიკა საქსტატში“ https://www.geostat.ge/media/20607/17.konfidencialurobis-brzaneba.pdf</p> <p>3. „საჯარო სარგებლობის მიკრომონაცემების გავრცელების პოლიტიკა საქსტატში“ https://www.geostat.ge/media/20609/19.microdata-brzaneba.pdf</p> <p>4. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1561437</p>
7.2. კონფიდენციალურობა – მონაცემთან მოპყრობა
<ul style="list-style-type: none"> • კონფიდენციალურობის დაცვის სახელმძღვანელოები. • საქსტატში დასაქმებულის მიერ წერილობით აღიარებული ვალდებულებები სამსახურებრივი საქმიანობის შედეგად მიღებული/შეგროვებული მონაცემების კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის შესახებ.
8. გამოქვეყნების პოლიტიკა
8.1. გამოქვეყნების კალენდარი
მონაცემთა გავრცელების თარიღები განსაზღვრულია სტატისტიკურ სამუშაოთა კალენდრით, რომელიც განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე და საჯაროდ ხელმისაწვდომია.
8.2. გამოქვეყნების კალენდარზე ხელმისაწვდომობა
https://www.geostat.ge/ka/calendar
8.3. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომობა
მონაცემები ხელმისაწვდომია ყველა კატეგორიის მომხმარებლისთვის ერთდროულად.
9. გავრცელების სიხშირე
წლიური.
10. ხელმისაწვდომობა და მკაფიოობა
10.1. პრეს-რელიზები
პრეს-რელიზი სიღარიბის მაჩვენებლების და ჯინის კოეფიციენტების შესახებ: https://www.geostat.ge/ka/single-news/2535/sigharibis-machveneblebi-da-jinis-koefitsientebi-2021-tseli
10.2. პუბლიკაციები
საქართველოს სტატისტიკური წელიწადი: https://www.geostat.ge/ka/single-categories/95/sakartvelos-statistikuri-tselitsdeuli
10.3. ონლაინ მონაცემთა ბაზა
ონლაინ მონაცემთა ბაზა წარმოდგენილია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-საიტზე მონაცემთა გავრცელების პროგრამა PC-Axis-ის ფორმატში: http://pc-axis.geostat.ge/PXWeb/pxweb/ka/Database

10.4. მიკრომონაცემების ხელმისაწვდომობა
საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ჩატარებული გამოკვლევებიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე წარმოებული საჯარო სარგებლობის მონაცემები გამოიყენება მხოლოდ სტატისტიკური, ან სამეცნიერო მიზნებისთვის. ეს არის ფაილები, რომლებშიც წაშლილია ყველა პირდაპირი და არაპირდაპირი იდენტიფიკატორი. ექსტრემალური მნიშვნელობები და მსგავსი არაპირდაპირი იდენტიფიკატორები ანონიმიზებულია. 2009-2016 წლების შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევის და 2017-2021 წლების შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევის ანონიმიზებული მიკრომონაცემები SPSS-ის ფორმატში ხელმისაწვდომია საქსტატის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/128/2009-2016-tslebis-shinameurneobebis-integrirbuli-gamokvlevis-da-2017-tslis-shinameurneobebis-shemosavlevisa-da-kharjebis-kvlevis-monatsemta-bazebi
10.5. სხვა
„ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ კანონის თანახმად, სტატისტიკური მონაცემები საჯაროა და საქსტატი უზრუნველყოფს სტატისტიკური მონაცემების მიწოდებას ყველა მომხმარებლისათვის, მათი ელექტრონული თუ წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.
10.6. დოკუმენტაცია მეთოდოლოგიაზე
შემოსავლების და ხარჯების გამოკვლევის მეთოდოლოგიური დოკუმენტაცია განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე: https://geostat.ge/media/20576/Handbook-Of-Household-Surveys-%28Revised-Edition%29.zip სიღარიბის და უთანასწორობის მაჩვენებლების შესახებ მეთოდოლოგიური დოკუმენტაცია: https://www.geostat.ge/media/49220/Poverty_Gini_Methodology.pdf
10.7. დოკუმენტაცია ხარისხის შესახებ
-

11. ხარისხის მართვა
11.1. ხარისხის უზრუნველყოფა
სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების ხარისხის უზრუნველსაყოფად საქსტატი ხელმძღვანელობს ოფიციალური სტატისტიკის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით „ოფიციალური სტატისტიკის ძირითადი პრინციპები“, აგრეთვე ევროპის სტატისტიკის პრაქტიკის კოდექსით, გაეროს ოფიციალური სტატისტიკის ფუნდამენტური პრინციპებით და ევროპის სტატისტიკის სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოთი (QAF).
11.2. ხარისხის შეფასება
საქსტატის მეთოდოლოგიის და ხარისხის მართვის სამმართველო დარგობრივ დეპარტამენტებთან ერთად პასუხისმგებელია წარმოებული სტატისტიკური პროდუქტების და პროცესების ხარისხზე. სამმართველო ატარებს სტატისტიკური პროცესების ხარისხის აუდიტს და აფასებს სტატისტიკურ პროდუქტებთან და პროცესებთან დაკავშირებულ რისკებს. საქსტატში შემუშავებულია პოლიტიკის დოკუმენტები, სახელმძღვანელოები და სამუშაო პროცესების აღწერილობები. ეს დოკუმენტები უზრუნველყოფენ სტატისტიკური პროცესების და პროდუქტების სტანდარტიზებას და ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას.

12. შესაბამისობა
12.1. მომხმარებელთა მოთხოვნები
სტატისტიკური მონაცემების მომხმარებლები არიან სახელმწიფო დაწესებულებები, საერთაშორისო ორგანიზაციები (ევროსტატი, გაერო და მისი რეგიონული და სპეციალიზებული დაწესებულებები, მსოფლიო ბანკი და სხვ.), ბიზნესი, მედია, მკვლევარები, სტუდენტები და კერძო პირები.
12.2. მომხმარებელთა კმაყოფილება
2021 წელს ჩატარდა მომხმარებელთა კმაყოფილების გამოკვლევა, რომლის მიზანი იყო მომხმარებლების მიერ სტატისტიკური მონაცემების ხარისხის შეფასების ანალიზი და მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესების გზების შესწავლა. გამოკვლევის ანგარიში განთავსებულია საქსტატის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge/ka/page/customer-service
12.3. სისრულე
მონაცემები შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

13. სიზუსტე და სანდოობა

13.1. ზოგადი სიზუსტე

აბსოლუტური, ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებლების და ჯინის კოეფიციენტების ინფორმაციის წყარო – შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევა ეფუძნება შერჩევით მეთოდს. ჩვეულებრივ ამ პროცესს თან ახლავს სტატისტიკური ცდომილების არსებობა. შესაბამისად, გამოკვლევის შედეგების გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღება შერჩევის სტანდარტული ცდომილება.

13.2. შერჩევითი ცდომილება

2021 წელს შერჩევის ზომა იყო 17 280 შინამეურნეობა, გამოიკითხა 13 621 შინამეურნეობა მთელი ქვეყნის მასშტაბით. შინამეურნეობების გამოკვლევების მაჩვენებელმა (გამოკვლევაში მონაწილე და გამოკვლევისათვის შერჩეული შინამეურნეობების ფარდობა), შეადგინა 78.8 პროცენტი. ცხრილში წარმოდგენილია მაჩვენებლების სტანდარტული ცდომილება, ნდობის ინტერვალი, ვარიაციის კოეფიციენტი და დიზაინ ეფექტი:

(პროცენტი)

	სტანდარტული ცდომილება	95% ნდობის ინტერვალი		ვარიაციის კოეფიციენტი	დიზაინ ეფექტი
		ქვედა ზღვარი	ზედა ზღვარი		
აბსოლუტური სიღარიბე	0.7	16.1	18.9	4.1	4.8
მედიანური მოხმარების 40 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი	0.5	6.4	8.4	6.9	5.2
მედიანური მოხმარების 60 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი	0.7	17.5	20.2	3.6	4.2

13.3. არაშერჩევითი ცდომილება

არაშერჩევითი ცდომილება შესაძლოა განპირობებული იყოს შერჩევის ბაზის უზუსტობებით. ვინაიდან რესპონდენტთა შერჩევა შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევისათვის 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ბაზიდან ხორციელდება, შერჩევის ჩარჩოს განახლება უფრო ხანგრძლივ დროს მოითხოვს. არაშერჩევითი ცდომილება შეიძლება ასევე გამოწვეული იყოს გამოუპასუხებლობით – რესპონდენტის მხრიდან ინფორმაციის მოწოდებაზე უარით ან არასრულად მოწოდებით. არაშერჩევითი ცდომილება შეიძლება განპირობებული იყოს რიგი სხვა მიზეზებითაც.

14. დროულობა და პუნქტუალურობა

14.1. დროულობა

წლიური მონაცემები ქვეყნდება საანგარიშო პერიოდის მომდევნო წლის მაისში.

14.2. პუნქტუალურობა

მონაცემთა გამოქვეყნება ხდება სტატისტიკური სამუშაოების პროგრამაში მითითებული თარიღის შესაბამისად. გამოქვეყნების თარიღების დარღვევის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

15. თანამიმდევრულობა და შესადარისობა

15.1. შესადარისობა – გეოგრაფიული

გამოყენებული მეთოდოლოგია შესადარისია რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე.

15.2. შესადარისობა – დროში

მონაცემები დროში შესადარისია.

15.3. თანამიმდევრულობა – სტატისტიკურ მიმართულებებს შორის

მონაცემები თანამიმდევრულია.

15.4. თანამიმდევრულობა – შიდა

მონაცემები თანამიმდევრულია.

16. დანახარჯები და დატვირთვა

- გამოკვლევაში ჩართულია დაახლოებით 150-160 ინტერვიუერი 11 რეგიონულ ოფისში;
- ლოგიკური კონტროლის ჯგუფის 4 წევრი და 7 ოპერატორი;

- მონაცემთა ბაზის გაწმენდით დაკავებულია სამმართველოს 6 თანამშრომელი;
 - ყოველთვიურად გამოიკითხება 4 320/3=1 440 შინამეურნეობა, კვარტალში – 4 320 შინამეურნეობა;
 - საწყისი და მომდევნო ინტერვიუების საშუალო ხანგრძლივობა 1 სთ–1 სთ 20 წთ;
 - გარდა ამისა, თითოეული შინამეურნეობა ავსებს ხარჯების დღიურს, რომელიც მოიცავს შინამეურნეობის წევრების მიერ გასული ერთი კვირის განმავლობაში სასურსათო და არასასურსათო საქონელზე გაწეულ ხარჯებს. დღიურის შევსებაზე დახარჯული დრო დამოკიდებულია კონკრეტულ შემთხვევაზე და მისი შეფასება შეუძლებელია.
- შინამეურნეობის შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევის ბიუჯეტმა 2021 წელს შეადგინა 458.2 ათასი ლარი.

17. მონაცემთა გადასინჯვა

17.1. მონაცემთა გადასინჯვა–პოლიტიკა

სტატისტიკურ მონაცემთა გადასინჯვის პოლიტიკა ხელმისაწვდომია საქსტატის ვებ-საიტზე: https://www.geostat.ge/media/44385/Revision-policy-and-error-correction_Geo.pdf

17.2. მონაცემთა გადასინჯვა–პრაქტიკა

მონაცემთა გეგმიური გადასინჯვა არ ხდება. არაგეგმიური გადასინჯვა (მონაცემთა დაზუსტების მიზნით) 2021 წელს არ მომხდარა.

18. სტატისტიკური დამუშავება

18.1. პირველადი მონაცემები

აბსოლუტური და ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებლების და ჯინის კოეფიციენტების შესახებ ინფორმაციის ძირითადი წყაროა შინამეურნეობების შემოსავლებისა და ხარჯების გამოკვლევა (2017 წლამდე – შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა).

შერჩევის ჩარჩოს წარმოადგენს 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემთა ბაზა (2017 წლამდე – 2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემთა ბაზა). შერჩევაში შემოსული ახალი უბნებისათვის ხორციელდება ხელახალი აღწერა (ექსტულიზაცია). შერჩევის ჩარჩოდან შემთხვევითი შერჩევის პრინციპით შეირჩევა შინამეურნეობების წინასწარ დადგენილი რაოდენობა. შერჩევა ხდება სპეციალურად შემუშავებული პროგრამის საშუალებით.

შემთხვევითი შერჩევის დიზაინისას გამოიყენება ორსაფეხურიანი სტრატეგიული კლასტერული შემთხვევითი შერჩევა. პირველ საფეხურზე ხდება სააღწერო უბნების შერჩევა, ხოლო მეორე საფეხურზე – შინამეურნეობების მისამართების. გარდა ამისა, შერჩევის ცდომილების შესამცირებლად შემოღებული იქნა სტრატეგიული შერჩევა.

2017 წლიდან თითოეული შინამეურნეობა გამოიკითხება 2-2-2 როტაციული წესის დაცვით. რაც გულისხმობს, რომ ორი კვარტლის განმავლობაში გამოიკითხება ხდება მიყოლებით ორჯერ, მესამე და მეოთხე გამოიკითხება ტარდება მომდევნო წლის იმავე კვარტლებში, როდესაც ჩატარდა პირველი და მეორე ინტერვიუ. 2017 წლამდე თითოეული შინამეურნეობა ოთხი კვარტლის განმავლობაში მიყოლებით გამოიკითხებოდა ოთხჯერ.

ყოველ თვეში შერჩევიდან გადაიან ის შინამეურნეობები, რომლებიც შერჩევაში მონაწილეობდნენ ოთხი კვარტლის განმავლობაში და მათ ნაცვლად შემთხვევითი წესით შეირჩევა სხვა შინამეურნეობები იმავე კლასტერიდან (შინამეურნეობების როტაცია). როტაციის მოცემული სქემა საშუალებას გვაძლევს, ერთი მხრივ, განვაახლოთ შერჩევა, ხოლო მეორე მხრივ – ქმნის პანელურ კვლევას, რაც აუცილებელია სიღარიბის შესწავლისთვის.

18.2. მონაცემთა შეგროვების სიხშირე

პირველადი მონაცემები გროვდება ყოველთვიურად.

18.3. მონაცემთა შეგროვება

მონაცემების შესაგროვებლად ინტერვიუერი მიდის რესპონდენტ შინამეურნეობაში და ავსებს ხუთ კითხვარს (ბექდური ვერსია). მეექვსე კითხვარი – ხარჯების დღიური განკუთვნილია შინამეურნეობაში დასატოვებლად. იგი ივსება ერთი კვირის განმავლობაში შინამეურნეობის მიერ ინტერვიუერისგან მიღებული მითითებების მიხედვით; ამისთვის ინტერვიუერი ახორციელებს 3 ვიზიტს შინამეურნეობაში. ინტერვიუერი შერჩეული უბნის დონეზე ავსებს მეშვიდე კითხვარს – უარების ფურცელს, სადაც ფიქსირდება გამოუპასუხებლობის მიზეზები.

კითხვარების ელექტრონული ვერსიები ხელმისაწვდომია ვებ-საიტზე:

<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/560/shinameurneobebze-dakvirveba>

18.4. მონაცემთა კონტროლი

ყოველთვიურად ოპერატორთა ჯგუფის მიერ ხდება პირველადი მასალის (შევსებული კითხვარების) ორმაგი ჩაწერა მასალის მიღებიდან 10-15 დღის ვადაში (გამოკითხვის თვის დასრულებიდან მე-15–მე-20 დღე). ორმაგი ჩაწერის მიზანია ოპერატორის მიერ შეცდომის დაშვების თავიდან აცილება. თუ პირველად და მეორედ შეყვანილ მონაცემებს შორის რაიმე სხვაობის არსებობის შემთხვევაში, სპეციალურად შემუშავებული პროგრამა მიანიშნებს განსხვავებაზე. ოპერატორი ვალდებულია დააზუსტოს, რომელი პასუხია სწორი და შეიტანოს სწორი მონაცემები ბაზაში.

მასალის ბაზაში ჩაწერის შემდეგ სპეციალურად შემუშავებულ პროგრამაში ჩადებული კონტროლების საშუალებით ხდება კითხვარების ლოგიკური და არითმეტიკული კონტროლი – პროგრამა აჩვენებს კითხვარში არსებულ შეუსაბამობებს. შეცდომის დაფიქსირების შემთხვევაში, ლოგიკური კონტროლის ჯგუფი ახორციელებს მონაცემების კორექტირებას ინტერვიუერთან/ზედამხედველთან ან/და რესპონდენტთან დაკავშირებისა და მათგან მიღებული დაზუსტებული ინფორმაციის საფუძველზე. კომპიუტერული ლოგიკური კონტროლის დასრულების შემდეგ ხდება მონაცემთა ბაზის გაწმენდა, ანუ ლოგიკური უზუსტობების იდენტიფიცირება ცხოვრების დონის სტატისტიკის სამმართველოს თანამშრომლების მიერ Microsoft Access-ის გამოყენებით. ასევე ხორციელდება მონაცემთა შესაბამისობის შემოწმება კითხვარებსა და კვარტლებს შორის.

18.5. მონაცემთა გაანგარიშება

კვარტალის მონაცემთა ბაზის გაწმენდის დასრულების შემდეგ, ხდება აგრეგირებულ მონაცემთა ბაზის ფორმირება და მონაცემების შეწონვა. მონაცემთა შეწონვა ხორციელდება სტრატა-პანელის დონეზე. შედეგების გაანგარიშება ხორციელდება MS Access-ის, MS Excel-სა და SPSS-ის გამოყენებით.

18.6. მოსწორება

არ გამოიყენება.

19. კომენტარი

-